№ 2 იანვარი, 1913 წ. გამოც. 2 ფასი 5 კაპ.

ახალი ჭინჭარი

სათახუნჯო ალმანახი

გამოვა დრო-გამოშვებით. მასალები გამოიგზავნება ,,შრომის" სტამბაში, ალმანახისათვის.

უპატრონოთ დატოვებული ცოლ-შვილი.

ისა ვჭამოთ შვილო, რაცა გვაქვს. მალე მამა თქვენი მოვა და ყველაფერს მოგვიტანს.

ჩ ე მ ი დ ა რ დ ი.

მე იმისთვის-კი არ ვსტირი
რომ მგზავნიან უცხო მხარეს,
მისთვის ცრემლებს არც-კი დავღვრი
და ვერ მნახავთ გულ მწუხარეს.

მე მას ვსტირი ჩემი თავი
რომ დღეს იმას აბარია,
ვინც რომ კაცი თვით არ არის
ვინც მხეცი და აფთარია.

11572
16338

მე იმისთვის კი არ ვსტირი,
რომ მოძმეებს მაშორებენ
რომ დედ-მამა და-ძმანებთან
ვით მავნეს არ ჰაკხოვრებენ!

მას ვსტირი რომ მტარვალთ ფეხით
უსამართლოდ ვითელები
და თუმც სახე კაცისა მაქვს
პირუტყვთ სწორად რომ ვითვლები.

მე იმისთვის კი არ ვსტირი
რომ არა ვარ ვინმე ბრძენი,
რომ ჩემს მოძმეს ქონებოდა
ჩემგან სწავლა შენაძენი!

მიტომ ვსტირი რომ რაც ვიცი
მასაც ვერ ვის ვეუბნები,
რომ ენა მაქვს დაკეტილი
და სხვასა აქვს გასაღები.

ლადო თეკლათელი.

საქულას საიდუმლო.

საქულა. (სცენაზე გამოდის, ქუდს მოიხდის, მაგიდაზე დასდებს და ელაპარაკება.) ქუდოჯან! ქართველების ერუსთაველი უთქომს: ვინც თავის დარდს იტყვის, ასე ჰგონია ქეიფობსო! ეხლა მეც ჩემი დარდმა უნდა შენ გითხრა, ვა მაშ ვის ვენდო? შენ არავის ეტყვი!.. ეჰ, ჩემი თაქო ამიტყდა: „კაცო ეს ამოდენა დოვლათი გვაქვს, თორმეტი წელიწადია ჯვარი ემე გვიქნია, დავქორწილებულვართ, ერთი იშატაკი არა გვყავსო, ვინ უნდა ჭამოს ჩვენი ოხერი ფულებიო? ერთი რამე წამალი ვქნათ, რომ ერთი შვილი გვეყოლოსო!“ ვებნები: „თაქოჯან! მეჭურჭლე მიხო ხომ არა ვარ, რომ თიხისგან ემე ვქნა, ჩარხი დავატრიალო, ყმაწვილი გავაკეთო და გავაცოცხლო? რა უყო, რომ არ გვეძლევა?“—„კაცო, ჩვენი ხორეშანა ხომ იცი? ისეთი წამლები იცის, რომ ვისაც ემეს არ უშვრება, მაშინათვე შვილი უჩნდება!“ ვა, ეს, რომ მითხრა, ისეთი გამეხარდა, რომ დუდუკი მყოლოდა მაშინათვე უზუნდარა ვითამაშებდი! ვებნები: „თაქოჯან! თუ-კი მაგნაირი ვინმეა ხორეშანა, დაუძახე რაღა, რაღას უყურებ? რაც უნდა მივცე! მახლას, მოვიდა ხორეშანა, ჯერ ერთი რაღაცა შეულოცა, მერე მითხრა: „ამ ცხრა თვეში თუ შენ შვილი არ გაგიჩნდეს, ასი თუმნის ვექსილი მოგცეო!..“ მახლას, გაიარა ხანმა ხორეშანას ოცი თუმანი გაურიგდი! ჭკუას უყურე და! ჰამ შამატყუონ ჰამ ფულმა მივცე! მაინც მივეცი!.. კაცო, უყურებ; ჩემი თაქუა თანდა თან იბერება, მუცელი ემე, სირაჯ თათუხას კოლოტივით გაუხდა! მიხარიან, მალადეც ხორეშან! ვა, ამისთანა ექიმი არსად მინახავს! მახლას ბოლოს ბიჭი არ გამიჩნდა! საითაც გავივლი, „აბა საქო! მაღარიჩი შენზეა ჰაა! აბა ერთი კარგი სადილი გააკეთეო!“ მეც ერთი ახმახი, ვხარჯამ და ვხარჯამ ფულები! ჰაი რძეობაო, ჰაი ნათლობაო... ვინ იცის? რატო ერთი ასი თუმანი ფულმა არ დავხარჯე! ჩემი ბიჭი, მამიჩემის სახელი გრიქორა დავარქვი... ეხლა შვიდი-რვა წლისა მყავს, „კომერჩესკი უჩილიშჩაში“ უნდა მივცე ჰამა, ერთი უყურეთ საქმე რაშია და!.. კვირა დღეს, დუქნის წინა ვდგევარ, ერთიც ვნახოთ, ხორეშანას ბიჭი მოვიდა, აი ის ნაბიჭვარი, რომა ჰყავს აყვანილი და, ერთი ახმახი რამეა რომ ყურში რამის თქმა გინდოდეს, კიბე უნდა მიადგა, თორე ისე ვერ შესწვდები, ისეთი მაღალია! მოსულა და მებნება: „ერთი ასიანი უნდა მომცეო!“ რა ასიანი რას მიჰქარამ მეთქი? „ასიანი არ იცი? ათი თუმანი ნაღდი ფული მინდაო!“ „რაში მთხოვ ათ თუმანს? ათი თუმანი ათი კაპიკი ხომ არ არის მეთქი?“ რაში და შვილი, რომ გაგიკეთე იმაშიო!!! ვაა, ისეთი ოფლი დამაყარა, ისეთი დამცხა, თითქო ფურნეში ინდაური შეაგდესო... „კაცო, დედაშენმა შვილი გამიკეთა, ოცი თუმანი ნაღდი ფული მიმიცია! სხვა რაღა გინდათ მეთქი?“

„დედაჩემმა-კი არა, მე გავაკეთე მეო! თან გულზე ხელს იცემდა, მარტო შენ ხომ არა ხარ, რამდენისთვის გამიკეთებიაო! გიქოს, რომ თექვსმეტი წელიწადის მერე მიეცა შვილიო, მაშ იმას ვინ გაუკეთაო?! ან პეტრუზასაო, ან კარაპეტასაო!“ ვაიმე, ვაიმე! „შენი ჭირიმე! ვებნები, ოღონდ ნურავის ეტტვი და აჰა შენ ათი თუმანი მეთქი!“ მივეცი! ახლა ვფიქრობ და ვიწვი შახის ყალიონივით! ჰაი გიდი თაქოჯან! რა ერთგული ცოლი მყოლია და! ჩემი გრიქორა თურმე ნაბიჭვარი სანდროს გაკეთებული არა ყოფილა! კაცო, თუ ეგრე იყო, ჰაზირ რადლინიციდან ამეყვანა და გამეზარდა, ნაბიჭვრის ნაბიჭვარი მაინც არ იქნებოდა! ჰამაც ჩემი თაქოსაც ხომ არავინ ემეს უზამდნენ!.. ვაი, მოკვდი საქო, მოკვდი რაღა, რომ იმ ახრაჯი ხორეშანამ მოგატყუა და შენი ფაშფაშა თაქოც დაითანხმა. ფუუ ამისანა საქმეს!..

მ. ლელაშვილი.

გურული სცენა.

სიკოიეს ნაამბობი.

მოაწია კალანდა და ქათმის ფერხვა, ღმერთი მრავალს გაგითენებს ყველა აქ მომყურადეს ამ ბედნიერ დღეს; მოვემზადე რუარც საჭირო იყო: ვიყი-

დე ჩიჩალაკი, ამევიყვანე სასუქიდან კაი დიდი ნეზვი ღორი, შამოვარუნიე სახლში სამჯენ და დავკალი. მოვსჭარი ცხემლაი და, ყველაზე უწინ გვვილოცე კალანდა, მივაყოლე მაჭახელაი და თლათ ჩავაქუხე თელი მუხურო. წივედი საყდარზე და გულმხიარულათ დავბრუნდი შინ, ყორიფელი მომზადებული მქონდა, აბა დედო პურს თუ იკითხავ, ჩვენზე უკეთესი მგონი ღვდლის ოჯახშიც არ იქნებოდა. ჩემი ცოლი ელპიტაი და ქალიშვილი ფედოსიეი რაცხა მოწყენილი ჩამოვიდენ ეზოში, ღმერთს მართალი უყვარს, უფრო მოწყენილი მევიდოდა ფედოსიეი. მივაყვირე პარმახიდან: ცავ, ფედოსიავ, დღეს ბედნიერი დღეია, კალანდაა და ყველაი მხიარულათ უნდა ვიყოთ, თვარა ამგაისიზა გლახა კალანდა გაგვითენდება მეთქი. კიდო იგია რომე გლახა ქმარი შეგხდება მეთქი. „ქმარი კი არა, იი არ გინდაო“ შემომძახა ფედოსიამ:—„დამარჩვე აქანაი შეშის ზიდვით, ჭადის ზელით, მათრაქვიე წყალი და სწორედ კაი ქმარი წამიყვანს, ჩემისთანა ხელდაფურეშკულს და წივ-დაბრაწულს ვინ წეიყვანსო“, მომაყარა და მომაყარა ხოშკაკალსავით ჩემა გასათხოვარმა ქალიშვილმა. კაცი კადამ გადვირიე დრამზე, აი ციცაი შერინებულა მეთქი, აქამდი ამისანაი მიდღემჩი არ უთქვამს და დღეს რაცხა ფარცაკი არ უნახავს მეთქი, „ელპიტიავ, ელპიტიავ, ამ ციცა რა დიემართა მეთქი“ ვკითხე ცოლს.—„რა დიემართა და მისი გახეთქაო“—მომაყვირა ცოლმა: „საყტარზე ვიყავით და ვინცხა ერთი ქალი დეინახა, კაი „შლიპით“ იყო გამოწყობილი და ტანზე მოსახურავი ქონდა, მეც იმისანაი ტანისამოსი რეიზა არ მაქო“, იმ ქალს ვინცხა პალიტოიანი კაცი დახობოდა და ერთი მეორეს ერუსულებოდენ;—ამან კიდო თლათ გადამირია ციცაიო.—ვინ არის იი ქალი მეთქი—ვკითხე ელპიტიას—ვინ არის და ზალიკაი ღარიბაძის ციცაი ყოფილაო.—ქალო, ელპიტიავ, ამ კალანდა დღეს რეიზა მატყუებ, ზალიკაის ციცაი ასთე გამოწყობილი რაფელ იქნებოდა მეთქი.—რაფელ და ისთეო, პალიტო და შლიპი ქონდაო და ლაპარკზე რომ მივაყურე სულ „დუშნეკა ელიჩქა“ უძახოდა იი კაციო.—აწი რა ვქნა, რას მიკვეთთ მეთქი!—„რას გიკვეთ და მეც ისთე უნდა გამევიჩესტო—გამივეწყო და პალიტოიანი კაცი მითხოვსო“—მომაყვირა ფედოსიამ.—ევრი გიდი, ქი არ ეირია მონასტერი, ციცაი გადამერია, გასივდა, გაკუჭდა და ნაღველაი კაღამ გუუსკტა. წამენკალა კალანდა, ავდექი და წივედი ზალიკაისას იმის გასაგებათ, რომ რაფერ მუახერხა აი ზალიკამ. კაი პატივი მცეს, ერთი იმისანაი რაცხა დამალევიეს, რომ ნულარ იტყვი, ტყულაი რომაა კრიპუჩი იყო, აი ჩემა ელიჩქამ მომიტანა ბათომიდანო. სად არის ელიჩქაი მეთქი. თურმე სუფრაზე იჯდა ჩვენთან, მარა რუა ვიფიქრებდი აი ზალიკაის ციცაი არის მეთქი. თავზე იმისანაი ჯინჯილოები ქონდა, რომ ასე გეგონებოდა არწივის ბუდეაო. ტანი წვრილი, როგორც ჩხირი, ფეხებზე პაკაპუკი, თმაში ღრინიშუკი. მუულოცე ზალიკას გაბედნიერება. ბიჭო, ზალიკავ, აი ციცაი რაფელ გამუაწყვე მეთქი.—აი ბათომში არის აგერ ათი წელიწადია და იქინეი ბევრ ფულს შონულობს მოდისკობაშიო.—უთხარი ზალიკას ჩემი გაჭივრება, ფედოსიეის გადარევა, შევეხვეწე, შევენაბდე რუარც მას, ისთე ელიჩქას რომ იი ჩემი ფედოსიეი წიეყვანა ბათომში, ესტავლებინა მოდისკობა. ელიჩქამ მკითხა, რამდენი წლის არის შენი ციცაიო.—თექვსმეტი წლის იქნება მეთქი. „აა მოუნაო“—თქვა ელიჩქამ, მარა ვერაფელი მივხთი და ნუ გამიმტყუნებ ნურაკაცი, მე ნარები კაცი არა ვარ და რაფელ უნდა მივმხდარიყავი ამისანაი სიტყვა. ზალიკას ჩუულაპარაკე: თუ კაცი ხარ, გამაგებიე რა მითხრა მეთქი. თურმე ნუ იტყვი—ზალიკასაც აფერი გუუგია;—ნეტაი რა თქვაო—იმან მე მკითხა.—ბიჭო, ზალიკავ, მე შენ კითხავ, შენ მე მკითხავ, აი რაფელ იქნება მეთქი. შევეკითხე ისთევლე ელიჩქას: რა მიბძანე მეთქი. ელკაბედამ, (უი რა წამცდა), ელაჩქამ გადიკარკაცა და მითხრა: აბა, ამდენი ხლაფორთი უნდა და ამდენ სტავლას შეიძენს კაცი ქალაქშიო. კი წევიყვანო. აქანაი, ჩვენში „ჩტო ბუდიედაი“, ნიჩეღო ნედიელაიო“.—კაცი გავჩერჩეტდი, თურმე ისე გაგყიდიან, ვეფერს ვერ მიხდები; სწორეთ ძალუაონი სტავლა შუუძენია ზალიკაის ციცას, ჩვენი უჩიტელიც კია, მარა იმისანას ვერ ლაპარიკობს. ახლა, თქვენც-კი მიხდებით, გამიხარდებოდა თუ არა ჩემი ფედოსიეის წასვლა ამისთანა ნასტავლ ქალთან.—როის წაბძანდები მეთქი ვკითხე ელაკებედას, (ბიჭო მცემე ვინცხამ ზრუგში, ყოველთვის მავიწყდება ჩემი გამაკეთებელის სახელი), ელიჩქას—ხვალ წავალო და ციცაი ჩემსას მეიყვანეო. წამოვედი გახარებული, სულ კოტიზით ჩამივედი შინ და მივახარე აი ამბავი ელპიტიას და ფედოსიას. ფედოსიეი გაკეთდა, კაცის ჩინი ჩიედვა. არიქა, ქალო ელპიტიავ, დაფაცურდი და ხვალიზა აი ციცაი უნდა წევიდეს მეთქი. გავამგზავრე ჩემი გასათხოვარი ფედოსიეი ბათომში. დუუბარე! აბა, ბაბავ, შენ იცი რაფელ ჭკუით იქნები და რამდენ ფულს გამომიგზავნი მეთქი. მეზობლის ციცეები ყეელაი გულზე გასკდენ, გეიბერენ, ფედოსიამ გვაჯობა და ქალაქში წევიდაო. გევიდა კაი ხანი რაც ფედოსიეი წევიდა ბათომში, არც ქახალდი მიგვიღია და არც ფული. ელპიტიამ

დამიჩემა წაი ბათომში ციცასთან და რაცხა რაცხას გამოგატანს, ახლა გვარიანი შეძლებულათ იქნებაო. წევიდე შემწვარი ქათამი, ხაჭაპურები, ფარა-კი სულ ცოტა, იქინეი თუ ღმერთი შვიდობით ჩამიყვანდა ფარას ჩემი ქალიშვილი გოდრით მომცემდა. ჩივედი ბათომში, გავჩერდი ერთ სამიკიტნოში. მიკიტანს ვკითხე: აქანაი ციცაი მყავს, ფედოსიეი გამოშობილი ელიჩქასთან მოდისკობის სასტავლათ და მიმაგნებიე მეთქი. იმან თურმე არაფელი არ იცოდა. გამივედი გზაზე, დავადექი 'შვა „უნიცას“, დროგებმა კალამ გამჭყინტეს, ვიარე და ვიარე, მარა ვერაფელი ვერ მივაგენი, გამომივარდა გარეთ ენა; ბოლოს, შევხედე სახეზე და სიარულზე ვიცანი ფედოსიეი, ვინცხა ძალიან გამოწყობილ კაცს მიხოზოდა. ფედოსიავ, ცავ, ბაბავ მეთქი „მივაყვირე— ფედოსიამ შამომხედა თუ არა რაცხა ჩუულაპარიკა იმ კაცს. კაცმა რაცხა დეიძახა. მოხრიგინდა დროგი, ვიფიქრე, აი არის გამაკეთა ღმერთმა, და დროგში მაჯდენს ჩემი გამაკეთებელი ფედოსიეი მეთქი. ჩაჯდენ შით, ისე ფედოსიეც ძალიანი გამოწყობილი იყო, შლიპით და პალიტოით და გაფრინდენ საცხა. ფედოსიავ, ბაბავ, სა მიხვალ მეთქი, მივსდიე მარა, შენც არ მომიკტე, ვერც დროგი და ვერც იგინი ვერ დევინახე. იქაურებს ეგონა, აი არის ფირალი გაქცეულაო, დამენთენ უკან და გამეჩეს, ვინ ხარ შენ ასთე თავმოგლეჯილი რომ დაგლიჯინობ ამ გზემზეო. ბატონო, ფედოსიას ვეძებ მეთქი მოვახსენე.—ვინ ფედოსიეიაო—მომაყვირეს და ერთი მაგარი პალური ამომკრეს. ციცაი მყავს აქანაი გამოშობილი სამოდისკოთ, ახლა დამინახა ვინცხა კაცს იახლა, ჩაჯდენ დროგში და საცხა გეიქცენ და ამიზა იგინს მივსდევდი მეთქი. „აა, ფედუსკა, ფედუსკა“, ვიცნობო თქვა—ერთმა იქინეი მდგომა ქაცმა—იგი შე საწყალო მოდისკათ კი არა,—„სენკრეტში“ არის და აწი იმას მიდღემჩი ხელს ვერ მეიკიდიებო. რა „სენკრეტია“ მეთქი—რაი და სადაც ლამაზები არიანო. რა ლამაზები, ელიჩქასთან არის მეთქი. მე შენ გელაპარაკები, რომ „სენკრეტში“ არის და ელიჩქაც „სენკრეტის“ თავიაო, მითხრა კიდო იმ კაცმა. აი შენი სიკოიეი, დავრჩი ასე გაჩიჩინებული, გამიშტერდა თვალები, რა მექნა არ ვიცოდი. ქე დავაქციე ჩემი ოჯახი, დავლუპე გასათხოვარი ციცაი; ღმერთი ამუაგდებს ზალიკაის ოჯახს და ელიჩქას გააყერყეჩებს ისე რომ ცას და ქვეყანას უკვირდეს მისი ამბავი, არ გუუთენებს მეორე კალანდას წმინდა ბასილის დიდება, და წაანკალებს ქათმის ფერხვას, რაფერ იმან გამომწყვიტა თელ ქვეყანაში.

ბუჯგუტი.

ვანია და სამუელა ლექსელი.

ვანია—სამუელავ შენი სიტყვა
ალმანახში რომ ეწერა
წავიკითხე, არ უშავდა
სიმართლეა ბევრიც მჯერა,
მხოლოდ ერთში გულს მაკლია
აფთეაქს რომ ოუარე—
შენთვის ერთი უნდა იყოს
როდესაც სწერ მტერ-მოყვარე.

სამუელა—ჰმ, რა ჩემი ბრალია,
მე ვთძვი მხოლოდ რაცა მკითხეს
ეფუ მყავდა თანაშემწეთ
ის სჩანს უფრთხის რაღაც სიცხეს,
მარა რომ ვსთქვათ წერათ არც ღირს
როცა კაცი გაიქნება
პროვიზორი რა კაცია
აფთეაქი რა იქნება.
ამან ხელში რომ ჩაიგდო
ჩვენ მაშინვე გადაგვიწყდა
ექვთიმეს ხომ უქნა-უქნა
ძველი მჯავრი დაავიწყა,
არენდის ფულს ვინ ჩიოდა
წამლები არ გაეფლანგა
რა მოსწყინდა თხოვნა ჩხუბი
ექვთიმე სუდს მიებარგა,
მასთან ხალხიც უნდა გითხრა
აბუჩად ჰყავს აგდებული
ცის მარად დღე კურდღლებს დასდევს
ფხარზე ცენტრალ გადებული
აფთეაქი ცარიელი
ბაღნებთან აქ მიგდებული
ძაღლებით და სიბინძურით
არის მუდამ ავსებული.
ხალხის თქმას რომ დაუჯეროთ
თოფის სროლაც მან მოჩმახა
და სოფელი ტყულათაი
გაამწარა, გაბახა.
ხასიათი დიდ-კაცის აქვს
ხარჯვა უყვარს კნიაზური
მის მშობლებს-კი წკნელის ქოხში
ენატრება მშრალი პური.

ვანია—ჰოდა ჩემო სამუელავ
ასეთ ამბავს რათ არ სწერდით
თქვენს თვალში თუ დვრე გქონდათ
სხვისაში ბეწვს რას ეძებდით.

გასანახავი.

დეკეშეგი.

ჩახატაური. ხალხი სტირის მასწავლებელ მეგრელიძის თავს, რადგანაც ამ უკანასკნელს თავი ინსტიტუტში დაუტოვებია.

ერკეთი. მასწავლებელ როგავა ბოქაულ კალანდიას „პროტეკციით“ ინიშნება უფროს სტრაჟნიკათ.

სუფეგინტუე. ეკენისთვემდი სწავლა შეწყვეტილია რადგანაც მასწავ. კსემიდა და ალექსანდრე აშლილა. ჩხუბი მომხდარა რომანიულ ნიადაგზე.

აბაშა. აქაური ბარიშნები გარუს ინტელიგენტკებული არიან. ქართულს არ კადრულობენ სულ რუსულებ არშიყობენ „მაია ტვაია, ტვაია მაიაო“.

ფესა. ლესის აფთექის პროვიზორი დიდ საჩუქრებს პირდება „ეფუს“ და „აჯანს“ რო გაზეთში არ გამოაცხადონ თვისი აფთექის სიუწმინდურე და მისი უზნეოდ ქცევა. ლესის საზოგადოებასთან.

ფანჩხუთი. ზოგიერთს მოვაჭრენს და მოინტელიგენტო ხალხს ხელზედ მაზოლი აქვენ გაჩენილი და თავში ტვინის რამატიზმები კარტ-ნარდის თამაშობის გამო.

იქიდანვე: კირილესა თუ არ იცნობთ
გვარათ არის წილოსანი,
მოხუცია პედაგოგი
აღარა აქვს დიდი ჯანი.
უჩიტლების ჯამაგირი
ხშირათა აქვს იმას ხელში,
დარიგებას არ აღირსებს
ჯანჯალია ყველაფერში.

ია—ძე.

—

(არამკითხეს სააგენტოსაგან)

დ. ფანჩხუთი. — მომრიგებელ სასამართლოში გაიხსნა სააპერაციო განყოფილება. ხირულგის მოვალეობის ასრულებას შეუდგა კ. ვ. გურიელი. პირველი აქტი რომელიც გაუკეთა აბლაკატ კ. მგელაძეს ჩინებულათ ჩაიარა. მაგალითად ყური თავის ტყავიანათ ნახევარ წამშიდ ჩამოთალა. პერევიასკა-კი სხვა ექიმებს დაევალა.

იქიდანვე—ამ დღეებში მომრიგებელ მოსამართლემ გაარჩია შემდეგი სერიოზული საქმე სახელდობრ მასწავლებლისაგან შეგირდის მოუმზადებლობა, ამისათვის მისგანვე მოწაფისათვის ქვეშაგებისა და თეთრეულების წართმევა. დამნაშავეთ იქმნა ცნობილი მოწაფე მასწავლებლის ეგნატეს გამომახებისათვის.

იქიდანვე.—ნათლისცემის ეკკლესიის ნაკურთხმა მალაზონმა მატაიამ დასცადა მეზობლის სახლის მამალი ნავთი და ცეცხლი ცოცხლათ შეწვავს თუ არაო ამ მეცნიერულ დაცდისათვის მღ. კანდელაკი და ხომერიკისაგან დასაჩუქრებულ იქმნა სამი სეფისკვერით და ერთი ჭიქა ზიარებით.

იქიდანვე. ტყუილია ის ხმები ვითომც მასწავლებელ ქალს ნ. ჯუღელს განსვენებულ ლ. ურშაძის დასაფლავებაზედ უარდგილო სიცილი ასტეხოდეს და გაელანძღონ, პირიქით კირკიცი აუტყდა და შეაქეს.

შუხუთი.—არც ის არის მართალი ვითომც ს. ბ. საყანე მიწებს 200-სი ქცევა შეეხმოს და მელკი კრედიტის არდგილობრივ ბანკს 2000 მანეთი გადაეთამაშებიოს.

ს. შუმაქმედი. ვულ-კეთილმა მღვდელმა გ. ცინცაძემ კეთილ ინება და დრამა ფულში ცხემლისპრას მრევლს საახალწლო ხორაგეულობის კონფისკაცია უყო რომლის გამო ეაზინზილებული ბავშვები ეგალობენ;
ამ დასახჩობმა ხუცეცმა წაგვამწარა კალანდაო,
წმინდა ბასილ, მოსპე ყველგან ქურუმების კამანდაო.

ს. ჩიბათი. აქაური ბანკის ხაზინადარმა ნ. ჭყონიამ კრებაზე განაცხადა აბაზიანებს რომ გირიგებდით ასიანი მიეწებაო და ქეიმასქნაო, რომლის გამოც შავი კენჭით დააჯილდოვეს.

მოკლე და სხლარტი ამბები.

ჯურუეგეთი. აფთიაქის სკლადები ჯურუეგეთის და ჩიბათის უპირებენ ორაგველიძის აფთიაქს კონკურენციას, მაგრამ ორაგველიძე გაიძახის: „მე მუხა ვარ, ფესვები მაგრად მაქვს გადგმულიო.“

იქიდანვე—ჯურუეგეთლებმა იკითხეს „ახალ გაზეთში რა სწერია ახალი ამბავიო“ ვიღაცამ მიუგო: „შარშანდელი გაზეთიც თქვენთვის ახალია და რაღა ახალს კითხულობთო“.

ფესა.—ადგილობრივ მღვდელს თავის მრევლმა შესტირა: „მამაო, ეხლა ვგონებთ მთელი ქვეყნის ოთხივე მხარე დავლილი გაქვს და აწი მაინც ენერგიულად შეუდექი თავის სამრევლოის სამსახურხო“ მღვდელმა შემდეგი უპასუხა: „მართალია ქვეყნები ბევრი დავიარე, სტუმრად დავდიოდი თქვენთან, მაგრამ რა გაეწყობა „დიდი საქმეების“ მიმდევარსო, ხან ალმა უნდა ირბინოს და ხან დალმაო“...

იქიდანვე.—დაარსეს საეკლესიო მგალობელთა წრე, პირველ დაწყებითი არა უშავდა რა და ეხლა კი რა მოგახსენოთ—სულ ნაზად! და სულ ნაზად! მიდის მათი საქმე. მიზეზი მათი სიტყვით ხმების უვარგისობაა და ვსთხოვ პატივცემულ მკითხველებს უთავაზონ კვერცხები ხმის გასაწმენდათ...

ჩიბათი.—თეატრი დიდი ხანია გააკეთეს, რაგრამ წარმოდგენის რა მოგახსენოთ... ორფეხის მაგიერ ოთხფეხი დასეირნობენ.

ფანჩხუთი. — დიდი ხანია ორი გმირები დაეტაკნენ ერთმანეთს და სანეძლოაც დადვეს სამას-სამასი მანეთი საზოგადო სასარგებლოდ, მაგრამ როდესაც მოედანზე გამოვიდნენ საბრძოლველად ერთი მეორეს შესცინეს „რაღა ერთმანეთი წავაქციოთო, უმჯობესია ჩვენი ფული ჩვენ ჯიბეში იყოსო“ და აქეთ-იქით გაიპარნენ.

იქიდანვე. — ებრალ-იძეებმა ტყე მოიგეს და დიდი ნადიმიც გადაიხადეს, კიდევ ამბობენ ფულებიც მოვიგეთო და გაზაფხულზე ყველას დაგვირიგებენო, — სხვები-კი ეუბნებიან: „ჯიბეთ მაგარი ტილო შეიკერეთო“...

ახლო-მახლო საზოგადოებები. გზები კეთდება ცოტ-ცოტად, მხოლოდ ასეა რომ ას ფუთ ლობიოს ერთი ჯამი მარილი რომ მოაყარო და რადგან მამასახლისები შეგნებული კაცები არიან იმედია ყურადღებას მიაქცევენ...

— როგორც გადმომცეს ლენინის სამრევლო ღარიბ შკოლისათვის კ. ჭყონიას შეუწირავს 25 მანეთი. მასწავლებლებს განუზრახავს მოწაფეთათვის დაფის ყიდვა და სხვა... და როგორც ბოროტი ენები ამბობენ ეს ფული ერთ ვინმეს „შეეიმასუქნია“ და დროა(თუ არ უნდა გამოაშკარება მისი პირადობის) ის ფულები „გამოიმასქნას“ და მოახმაროს ღარიბ შკოლას, რადგან დიდი ხანი ყოფილა ამ შემოწირულების შემდეგ.

ჭრიჭინა.

დ. სამტრედია. ქუჩების ფარნების ამთელებს, აგერ რამდენიმე თვეა რაც რომ მუცლის ტკივილი დაჩვევიათ, ექიმს მათთვის გამოუწერია ნავთის სმა, რომ საშვალებას მოგცემთო ამისთვის მათ ფარნების ასანთებლათ ნავთი აღარ რჩებათ და მათი მორჩენაც სათუოთ არის. ორნაირ მწუხარებას განიცდიან დაბის მოვაჭრენი ამის გამო.

— ამ ორი თვის წინად ადგილობრივ სათეატრო დარბაზში გაიმართა „პრიზებიანი საღამო—სილამაზისთვის და კარგ ცეკვისთვის, ეხლა როგორც ხმა დადის კიდევ გაიმართება ამ მოკლე ხანში ასეთი საღამო, მხოლოთ „პრიზი“ მიეცემა მას, ვინც ბევრ ღვინოს ჩაცეცხლავს. ეს გაუგია ბ-ნ იოსებ ბერაძეს და აგერ ორი კვირაა რაც რეპეტიციას აკეთებს რესტორანებში. რომ ბევრი ღვინის „ჩაცეცხლაში“ ოქროს „პრიზი“ აიღოს.

ჩახმახი.

ქუთაისი. კორძაიას ქალთა პროფესიონალურ სასწავლებელში შემდეგი ამბავი მომხთარა: დაუჭერიათ ფოჩტალიონი უმარკო წერილების მიტანისთვის, ის იქვე პენსიონის ერთ-ერთ ოთახში მოუთავსებიათ, სადაც რა საკვირველია მოწაფე ქალები, მოსვენებას არ აძლევენ.

— ქ. „ნაჩალნიცას“ მოწაფეების უმარკო წერილების კითხვის დროს ისტერიკა მოსვლია, რომლის შიშზე მოწაფეებსაც ციებ-ცხელება დამართიათ.

— ქალთა სასწავლებელში ამ ჟამად ძლიერ გახშირებულია კალოშების ქურდობა; თუ ასე გაგრძელდა იმედია გვიჩიას მაღაზიაც ვერ აუვიდეს კალოშების გაყიდვას და მალე გაკოტრდეს.

წიწაკა.

პასუხი კუდმაკრატელას.

ძვირფასო ამხანაგო კუდმაკრატელა! წაგიკითხე თქვენი წერილი, რაზედაც დიდად მადრთხიდებით და მადლობას გწერავთ, რადგან იმათ წრეში არ ყოფილხართ, რომელიც მექანდიან „დაგლოკვა-დაზორთვას“... ჩემო ამხანაგო მე ვცდილობ ყოველთვის სიმართლე ადგნიშნო და ეგენმა კი თავი ქვას ახლოს, მათი ბდა-უბდით რას გახდებიან, რამდენსაც თავს ავნებენ და უვიცობას დაიჩემებენ... ბ. კუდმაკრატელა ეხლა მეც მსურს ცოტა არ იყოს გაგართოთ ამბებით: კი მოგეხსენება მგონია დანჩხუთის ქსენონი, სადაც ეხლა ახალი ექიმი გახლავთ, ერთ დღეს ძმაო უცაბედად შეუხვიე ქსენონში და ვნახე რომ ახალ ექიმს ყველაფერი „თავნაბრუნებათ“ უქნია... არ მახსოვნებია წინა ექიმის მოწყობილობა და ამას-კი ყველაფერისთვის თავი უბრუნებია და როგორც მისი მიხვრა-მოხვრით სჩანს წინა ექიმზე უკეთესობას გვპირდება და ვუსურვოთ ძმაო-კაცან უკეთესობა კი არა იმფერი დარჩეს...

მერმეთ გამოგიარე ბაზარში და უცებ წავაწყდი რადაც ქარხანას — უკატრავად ეგვანანს, აქ თურმე ახალ-კაზდობა მრავალ-ჟამიერით შედიან და ზარით, ესე იგი ტირილის გალობით გამოდიან...

გარდა ამისა ჩემო ამხანაგო აი რა მიამბო ერთმა ჩემმა ამხანაგმა: მატარებლით მოვდიოდი ქუთაისიდგანო და იმ ვაგონში შემხვდა ჯდომა, სადაც ქალი იწვა სკამეიკაზეო, ამ სკამეიკის ქვეშ კანდუკტორს ბატი დაუსვამს და მძინარე ქალისთვის ბატს კბილებით ჯიჯგნა დაუწყია კაბაზე, უცებ წამოვარდნილა ქალი და გონებია ეს ჩემი ამხანაგი, მიგარდნილა პასუხის კუტენელად და დაზათიანი სიდა უკმეევია. ბოლოს დიდის კამოკვლევის შემდეგ ადმოჩნდა ბატი დანაშაული და ჩემი ამხანაგი უბრალოდ გალახული.

შენც კითრთხიდებ ჩემო კუდმაკრატელა, ასეთი ამბები არ შეგხვდეს, ან ვინმემ ჩემს მაგიერ შენ არ დაგლოკოს.

შენგნით დავალებული — **ეფუ.**

სოხუმის ავ-კარგი.

დღეს, ერთმა ქალურმა ვაჭარმა „სეკრეტნაო“ გადმოგვცა შემდეგი: ჩვენ, ვაჭრებმა ქალაქის მიწების ტორგის დროს განგებ ავიეიანეთ ოთხეუთხედი სადენი ხუთ თუმნამდე, რომ ამით ტორგიდან დარიბი ნაწილი ჩამოგვეშორებია, თორემ ჩვენ არც ისე სულელები ვართ, რომ „ბკეითი“ ნაშოვარი ფულები ისე უანგარიშოდ ვფლანგოთო. როცა თავის დროზე, უბრალაში ხვედრ ფულს არ შეეიტანთ — განაგრძო მოსაუბრე ვაჭარმა — მაშინ თავის თავად დაისმება კითხვა — რაა მიზეზიო? ჩვენც უბასუხებთ შეეცდით, მოგსტეუდით, რომ ასე ძვირად დავირჩინეთ მიწებიო. ჩვენი ქალაქის მამინაცვლებიც შეგვიბრალებს, შეგვიცოდებს და ხუთ თუმანს თუმანზე დააეენებენო და დამშეიდობების დროს მესაუბრემ დასძინა — ამ ფოკუსის შესახებ ჩვენ ჯერ კიდევ ტორგის დაწყებამდე გვქონდა მუსაიფი ზოგიერთ ჩვენსავით „დამწვარ“ ქალაქის მამინაცვლებთანო.

დარიბი ხალხი-კი უეურებს ყველა ამ თვალთმაქცობას და ნადვლიანად კადმების შემდეგ სამახსოვრო წიგნაეში ინიშნავს, როგორც კამეიდველების საქციელს ისე მეიდველებისას.

— გუშინ ერთ უცხოელ გემის დასათვალიერებლად ვიეავი. ავედი გემის აივანზე თუ არა ჩემს თვალებს ძალზე შემაზარწეუნებელი სურათი წარმოედგა. მთელი გემის მოსამსახურენი, დაწყებული კაპიტანიდან და გათავებული კაჩეგარამდე, ამ შავ-გულ ზამთარში, სცვლების ამარა რიგზე ჩამწკრივებულიეენენ. სიცოდვეები საშინლად თრთოდენ, კანკალებდნენ სიცივისაგან. ზოგი მოკანი ბერანგის კალთით გალურჯებულ სახიდან ცრემლს იწმენდნენ. დამინახეს თუ არა ყველამ კაკვირვებული შემომხედა. ედმა მოკანმა წამოდგა და აკანკალებულის ხმით მითხრა: გვიკვირს, რომ თქვენ სცვლების ამარა არ ხართ ალბათ სოხუმის დამოუნის დროებით უფრო, ბ-ნ გეგეჭკორიდან არ უნახავხართ თორემ უსათუოდ სცვლების მეტს არაფერს არ შეგარჩენდა ტანზედო. რათა, რისთვინ მეთქი შეკეკითხე და მიპასუხეს: მიტომ, რომ ტანისცმელი „კანდრაპანდია“ო. მეც მივხვეთი რაშიაც იეო სიქმე და ნადვლიანად ჩავიტირე. დღეს ბ-ნ გეგეჭკორიდან დამოუნის მოსამსახურეებისთვინ „ოფროტში“ ჩადგომა მოუთხოვნია, ერთ მათგანს უთქვამს ეს ხომ სადგათ.. , მაგრამ „ადრ“ დასცვლებია სიტეეის დასრულება და დაუეეია „молчать!... განსაკუთრებით ქართველი მოსამსახურეები ჭეოდია ნიშანში ამოდებული და მათ უფრო მეტ „პატიეს“ სცემს. ამბობენ, რომ ყველა ეს იმის მიზეზია, რომ დროებით უფროსობა უნდა გადააკეთოს შუამავათო. გეიშეეე

ა 981 1913

აკროსტიხი.

მამა არის სოფლის მამა
ამრჩეველნი გააწამა
ხურდა ფული ფული ხურდა
აღარ მოსწონს აღარ უნდა!
როცა ხალხში იყო ძალა—
ბელადობდა მაჩანჩალა,
ეხლა ძალა სადაც ნახა
ლელოც იქით დაიძახა
კრინტის დაძვრას ვინც გაბედავს
ვაი იმას ის თუ ხედავს
ასე ამბობს ის წამხდარი—
ჭამის საქმე კარგათ არი
აზრით ჩლუნგი მაგისთანა
ძვირი არის ყოველგანა
ენა გრძელი და ჩითახო
აწ იცანი თუ-კი ნახო.

მოვა.

ღია წერილები.

სიმონ არაგველიძეს.

პ-ლო სიმონ! უკვე გაგებული გექნებათ რომ თქვენ დასახელებული ბრძანდებით რწმუნებულათ „ტინტილა“-ს მიერ. თუ-კი კისრულობთ ამ მონდობილობას, გთხოვთ მის მიერ დასახელებულ პირთ გამოუცხადოთ და საქმეს შეუდგეთ დ. ლანჩხუთშიდ დღიდან ამ წერილის გამოცხადებისა ერთი კვირის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მე უფლება მექნება ვიფიქრო რომ „ტინტილა“-ს სურს საქმის „მიფუჩეჩება“ და მერე-კი შესაფერ პასუხს გავცემ.

კოწია.

—

ბ-ნო პ. ბუაჩიძე! პასუხს მთხოვთ, რათ დამწამე ცილი ვითომც ტოლსტოის მიმდევართა წრე დამეარსებიოსო და ძალზე მექადნები, თუ პასუხი არ მომეცი სხვა ზომებს მივმართავო. იყოს ნება თქვენი... მე დიდ ბოდიშს ვიხდი ბ-ნ ჩიხელიძის წინაშე, რადგან ტოლსტოი ღმერთათ მიმაჩნია და მის შეგნებულ მიმდევარსაც პატივსა ვცემ, მაგრამ თქვენ მასთან დადგომის შემდეგ აღარ აჩერებდით ენას და გაიძახოდით: „ხორცს აღარ ვჭამ და, რა საჭიროა ხორცის ჭამა“ და სხვა, ამისათვის ისიც მოჰყვა თქვენ სიაში. მხოლოთ ბ-ნო ბუაჩიძე, ხორცს არც ის სჭამს დიდ-ყურება რომ არის შინაურ პირუტყვებში, მაგრამ ტოლსტოისი არა გაეგება-რა. თქვენ ბრძანეთ ერთხელ: „რისთვის მომათავსეს ალმანახში რადგან ტოლსტოის „სიბავშვე და სიყრმი“ს მეტი არა წამიკითხავს-რაო“. მეც გეთანხმები მაგაში მაგრამ:

როგორც გატყობ ძალზე წყრები,
მექადნები, მემუქრები
ეჰ, ჩემო ძმავ, გეტყობა რომ
აგრევია თავში მწყრები...

ჯანდაბა

წერილი რედაქციას.

ბ. რედ.! „სოფლის ალიაქოთის“ პირველ ნომერში მოთავსებულია კორესპონდენცია „გურიის ამბები“ აჯანისა. რამოდენიმე პირებმა დიდი იძულება დამაყენეს იმ წერილის გამო და რადგან თავი მინდა ვიხსნა იმათ საყვედურებიდან, გთხოვთ სიმართლე აღმიდგინოთ და გამოაცხადოთ, რომ ჩემი ნაწერი იქ არაფერი არ არის—ან რა საჭიროა უდანაშაულო ადამიანს უბრალოდ ცილი სწამონ და უსაყვედურონ.

პატივისცემით **მიტ—დო ჭყონია.**

—

ვამოწმებთ, რომ ზემოხსენებული კორესპონდენცია მიტ-დო ჭყონიას არ ეკუთვნის.

ალმანახის რედაქცია.

ვინც გამოგზავნის სამი აბაზის ფოსტის მარკებს, გაეგზავნება მთელი გასული წლის ალმანახები, სულ 22 ნომერია.

ცუდ მდგომარეობაში.

ელექტრო-მბეჭდავი „შრომა“, მუხრანის ქ. 12. გამომცემელი მ. ლელაშვილი.

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის ბიბლიოთეკა-საცავი / Библиотека Академия